

#2, აპრილი, 2007

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2,

V სართული


ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ვებ-გვერდი www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



აპრილში ასოციაცია „ანიკამ“ და სოციალური თერაპიის სახლმა საგაზაფხულო ღონისძიებები გამართეს (იხ. მე-2-3 გვ.)



გაზაფხულის და მეგობრობის ზეიმი

„გაზაფხულის ზეიმი“ – ასე ერქვა ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორები ასოციაცია „ანიკა“ და თბილისის 149-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

საზეიმო ღონისძიება გაზაფხულს და მეგობრობას მიუძღვნეს. ამიტომაც ბავშვებმა ღონისძიებას კიდევ ერთი სახელი – „გაზაფხულის და მეგობრობის დღესასწაული“ უწოდეს.

სექტემბრიდან თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში თანატოლებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რამდენიმე ბავშვი სწავლობს.



ახალი სასწავლო წლიდან დედაქალაქის ათ სკოლაში ინკლუზიური სწავლების „საპილოტე“ პროგრამა დაიწყება.

ინკლუზიური სწავლების მიზანია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია. პროექტს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი ახორციელებს ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.



პირველ ეტაპზე პროექტის განხორციელებაში პირველი-მეოთხე კლასის მოსწავლეები ჩაერთვებიან. „საპილოტე“ პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამა სხვა სკოლებში დაიწყება. თუმცა რამდენიმე წელია თბილისის ათამდე სკოლაში ინკლუზიური სწავლების პროცესი მიმდინარეობს. ასოციაცია „ანიკას“ მხარდაჭერით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ჯერ მე-10 საჯარო სკოლაში სწავლობდნენ, მათი ნაწილი სექტემბრიდან 149-ე საჯარო სკოლაში გადავიდა. ერთად სწავლის, მეგობრობის და 6-თვიანი ურთიერთობის შემდეგ მოსწავლეებმა ერთად მოამზადეს და წარმოადგინეს საზეიმო პროგრამა. ისინი ერთად უძღვებოდნენ ღონისძიებას, ამბობდნენ ლექსებს და ერთად მღეროდნენ. მათ ერთმანეთს წერილებიც მისწერეს, რომლებიც ყველაზე კარგად ასახავენ მათი ურთიერთშეჭვევის, ადაპტაციისა და ურთიერთობის დეტალებს.

*sanam maT gavicnobdi maTze
araferi vicodi. omis Semdeg, rac
gaviciani da maTTan vmegobrob,
vzvdebi rom maT Cveulebriv
adamianebTan urTierToba
sWirdebaT. ar vicodi ra iyo
invalidoba da ras ganicdian isini. me
vfiqrob, rom maT Cveulebriv
adamianebze kargad SeuZliaT
megobroba.*

*eka
me-6 klasi, 149-e skola*

*isini Cveulebrivebi arian. maT ician
yvelaze kargad megobrobac da
siyvarulic.*

*ana
me-6 klasi, 149-e skola*

გამოფენა-გაყიდვა

თექვისგან დამზადებული ყელსაბამები, ცვილისა და პარაფინის სანთლები, ბლოკნოტები, ღია ბარათები, წიგნის სანიშნები, გობელენები, ხის ნაკეთობები და უამრავი სხვა ლამაზი ნივთი, რომელიც ყურადღებას იქცევს სოციალური თერაპიის სახლთან არსებულ სახელოსნოებში მზადდება.

სოციალური თერაპიის სახლი 1990 წლიდან ფუნქციონირებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 40 მოზრდილს ემსახურება. სოციალური-თერაპიის სახელოსნოებში ამ ულამაზეს ნივთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილები ემზადებენ.

ისინი ყოველდღე დადიან „სახლში“ და სახელოსნოებში მუშაობენ. სახელოსნოში შრომის პროცესი ისეა აწყობილი, რომ თითოეული მათგანი სრულფასოვან მონაწილეობას იღებს. აქ ისინი თანამშრომლები არიან.



სოციალური თერაპიის სახლთან არსებულ სახელოსნოებში დამზადებული ნივთების გამოფენა-გაყიდვა უკვე ტრადიციად იქცა. ტრადიცია 7 წელია გრძელდება და გამოფენა-გაყიდვა წელიწადში ორჯერ საშობაოდ და სააღდგომოდ ეწყობა.



სააღდგომოდ სოციალური თერაპიის სახლთან არსებულ სახელოსნოებში დამზადებული უამრავი ლამაზი ნივთი გამოფენა-გაყიდვაზე თავად შემქმნელებმა წარმოადგინეს.

გაყიდვიდან შემოსული თანხით იმ მასალებს შეიძენენ, რომლითაც საშობაო საჩუქრებს დაამზადებენ და მომავალში კვლავ მოგვცემენ ლამაზი ნივთების შექმნის საშუალებას. სახელოსნოებში იღებენ დაკვეთებს და მოხარულნი არიან დაუმზადონ მყიდველს სწორედ ისეთი ნაწარმი, როგორც მას სჭირდება.

ბაზისური კურსი სოციალურ თერაპიაში

კურსის მიზანია აღზარდოს სოციალური თერაპიის სპეციალისტები, რათა მათ იმუშავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან და ზრდასრულებთან.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

მისამართი: ძმები უბილავების ქ.#8

ტელ: 77-54-85, 77-63-07


პრესის მონიტორინგი

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა დაიწყო პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგი. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს.

ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი ვერსია“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

მარტის თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 48 პუბლიკაცია.



| | |
|-----------------------|------------------|
| ■ რეზონანსი ("ბასტა") | ■ ახალი ვერსია |
| □ ახალი თაობა | □ 24 საათი |
| ■ ქრონიკა | ■ კვირის პალიტრა |
| ■ ჯორჯიან თაიმსი | □ "სარკე" |
| ■ თბილისელები | |

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას მიეძღვნა 7 სტატია, უშუალოდ საქველმოქმედო აქციას 8. მარტის თვეში პრესაში აქტუალური იყო ინვალიდის სტატუსის მინიჭების შესახებ პუბლიკაციები (7), სხვადასხვა სოციალურ პროგრამებზე 5 წერილი დაიბეჭდა.

მზრუნველობამოკლებული ბავშვების სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას და მათ დაფინანსებას 4 პუბლიკაცია, ამ სფეროში მიმდინარე დენსტიტუციონალიზაციის პროცესს 1 პუბლიკაცია, უსახლკარო მოხუცებს, მოზრდილებს, მოზარდებს 6 პუბლიკაცია, ჩვილი ბავშვების მიტოვებისა და გაშვილების შესახებ 4 პუბლიკაცია გამოქვეყნდა. საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლების თაობაზე 2 პუბლიკაცია, კონკრეტული ოჯახის ისტორია


– 2 პუბლიკაცია.

ორგანიზაციების აქტივობა

მარტის თვის განმავლობაში კეთილდღეობაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ფონდების აქტივობა ასეთია: ბავშვთა თავშესაფარი „რწმენა“ 2 პუბლიკაცია, მომავლის სახლი – 1 პუბლიკაცია, ასოციაციები „ურთიერთიერთობა“, „ანტისტიგმა“, „ბავშვი და გარემო“, „აფრა–საქართველო“ ღვთისშვილთა კავშირი, კოალიცია დამოუკიდებელი უფლებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრი „გაზაფხული“, ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი, სხვადასხვა სააღმზრდელო დაწესებულებები (დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი, კასპის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატი, მარტვილის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულება, ძეგვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი) ერთხელ იყო ნახსენები. 2 პუბლიკაცია მიეძღვნა პატარაკაციშვილის ფონდის საქმიანობას, ერთი – ფონდ „კასვის“ მუშაობას..

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



| |
|--|
| ■ შეზღუდული უნარების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე |
| ■ უნარშეზღუდული |
| □ გონებაშეზღუდული |
| □ ინვალიდის სტატუსისინვალიდი |
| ■ ფსიქიკურად დაავადებული |
| ■ ხეიზარი |
| ■ უსინათლო |
| □ მზრუნველობამოკლებული |
| ■ უპატრონო ბავშვი |
| ■ მაწანწალა |
| ■ მათხოვარი |
| ■ ქუჩის ბავშვი |

ცვლილებები კანონში „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ დასკვნა გამოაქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებას. ვინაიდან 2007 წლის 1 მარტამდე ვერ მოხერხდა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ტექნიკური, ფინანსური და სამართლებრივი თვალსაზრისით, 2007 წლის 16 მარტს კანონში შევიდა

ცვლილება, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს განსაზღვრული ვადით გაუგრძელდათ მინიჭებული სტატუსის მოქმედების ვადა. კერძოდ, იმ პირებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედების ვადა გაუვიდათ, ან გაუვათ 2007 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 მაისამდე, უნარჩუნდებათ აღნიშნული სტატუსი ხელახლა გადამოწმებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2007 წლის 1 მაისისა.

მიმოხილვა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სწავლობს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას. ამჯერად გთავაზობთ

პოლონეთის გამოცდილებას

2003 წელს პოლონეთის პარლამენტმა მიიღო კანონი „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაზე და მოხალისეებზე“, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო სტრუქტურების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ფორმები.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის ფორმები

კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს სოციალური მომსახურების მიწოდების ფუნქცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცეს. კანონით განისაზღვრება სახელმწიფო ფუნქციის საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის გადაცემის წარმმართველი პრინციპები: სუბსიდირება (დამატებითობა), კონკურსის საჯაროობა და სამართლიანობა, სახელმწიფოს ფუნქციის გადაცემის პროცესის გამჭვირვალობა. სახელმწიფო სტრუქტურები ვალდებული არიან ღია კონკურსის საფუძველზე გამოავლინონ ის ორგანიზაცია, რომელსაც სოციალური მომსახურების მიწოდების ფუნქცია გადაეცემა. დაწვრილებით არის განსაზღვრული კონკურსის პროცედურა. საკონკურსო განაცხადი უნდა განსაზღვრავდეს: მომსახურების სახეს, ფინანსური რესურსის ოდენობას, რომელიც გათვალისწინებულია ფუნქციის განხორციელებისთვის, განხორციელების წესებს, სტანდარტებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესარჩევ კრიტერიუმებს. საკონკურსო განაცხადი უნდა გამოქვეყნდეს საინფორმაციო ბიულეტენში და ეროვნულ/რეგიონულ პრესაში. მითითებული კანონით, სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მომსახურების მიწოდების ფუნქციას საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცემენ, ვალდებული არიან განახორციელონ მონიტორინგი მომსახურების მიწოდების

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება

კანონმა არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო კატეგორიაში გამოყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქვეკატეგორია. საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი ფუნქციაა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება. კანონი განსაზღვრავს იმას, თუ რა მოიაზრება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ცნებაში. მოსახლეობისთვის სოციალური მომსახურების მიწოდება განიშარტა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად, რომლის განხორციელება სახელმწიფოს ფუნქციად მიიჩნევა. ამგვარად, ორგანიზაციას, რომელიც სოციალურ მომსახურებას აწვდის მოსახლეობას მიენიჭება საზოგადოებრივად სასარგებლო ორგანიზაციის სტატუსი და ისარგებლებს ამ კატეგორიის ორგანიზაციებისთვის დადგენილი პრივილეგიებით.

(გაგრძელება მე-6 გვ.)

პოლონეთის გამოცდილება

(გაგრძელება)

პროცესზე. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეაფასოს მომსახურების მიწოდების ეფექტიანობა, ხარისხი, უზრუნველყოს გაცემული სახელმწიფოს ფინანსური რესურსის მიზნობრივი განკარგვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ.

კანონი ადგენს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან თავიანთი ინიციატივით წარადგინონ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში საპროექტო წინადადება მომსახურების სახელმწიფოსთვის მიწოდების შესახებ. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეისწავლოს საპროექტო წინადადება, შეაფასოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ფუნქციის განხორციელების მიზანშეწონილობა, დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული სახელმწიფო ფუნქციის პრიორიტეტულობა; საზოგადოებრივი ორგანიზაციის პოტენციალი დააკმაყოფილოს კანონით დადგენილი სტანდარტები ამ ფუნქციის განხორციელებასთან მიმართებაში; ფინანსური რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული სახელმწიფო ფუნქციის განხორციელებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ კონკრეტული სახელმწიფო ფუნქციის განხორციელების შედარებითი უპირატესობა.

სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. კანონი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ავალდებულებს შეიმუშაონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ყოველწლიური პროგრამები, უზრუნველყონ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ფუნქციების ჰარმონიზაციის, პარალელიზმის გამორიცხვის მიზნით, დააარსონ საკონსულტაციო-საინიციატივო ჰიბრიდული კომიტეტები, რომლის შემადგენლობაში ორი სექტორის წარმომადგენლები შევლენ.

სახელმწიფო ორგანოები, ასევე ვალდებული არიან არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართონ იმ კანონპროექტების შემუშავების პროცესში, რომლებიც გავლენას მოახდენენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

საზოგადოებრივი საქმიანობის საბჭო

კანონი ითვალისწინებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის საბჭოს დაარსებას სოციალური პოლიტიკის მინისტრის აპარატთან. მისი ფუნქციებია: სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება კანონთან დაკავშირებით, კანონის განხორციელების პროცესის მონიტორინგი, რეკომენდაციების მიღება იმ კანონპროექტებზე, რომლებიც ეხება კანონის რეგულირების სფეროს, მონიტორინგის განხორციელება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო ფუნქციების გადაცემის პროცესზე, რეკომენდაციების შემუშავება იმ სტანდარტებზე, რომლებიც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების პროცესში.

საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს იურიდიული ძალა არ აქვთ. ორგანოს დამხმარე, ანალიტიკური, სარეკომენდაციო დატვირთვა აქვს. თუმცა არასამთავრობო და საჯარო სტრუქტურის თანამშრომლობის ინსტიტუციონალურ მექანიზმს წარმოადგენს საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში.

საბჭოს შემადგენლობა ჰიბრიდულია. საბჭო 20 წევრს აერთიანებს. აქედან 5 ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წევრია, 5 სხვადასხვა სამინისტროს, ხოლო 10 არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელია. საბჭოს წევრებს ნიშნავს სოციალური პოლიტიკის მინისტრი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების დანიშვნა ამ ორგანიზაციების ან ამ ორგანიზაციების გაერთიანებების წარდგინებით ხდება.

სამოქალაქო ინიციატივის ფონდი

სამოქალაქო ინიციატივის ფონდი გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამაა, რომელიც პოლონეთის მინისტრთა კაბინეტის ინიციატივით 2004 წელს დამტკიცდა. ფონდის ადმინისტრირებას სოციალური პოლიტიკის მინისტრის აპარატი ახორციელებს. ფონდის მიზანია: საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების პროცესის ფინანსური მხარდაჭერა, საჯარო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გამყარება, კანონით დადგენილი სუბსიდირების (დამატებითობის) პრინციპის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო ინიციატივის ფონდის ფუნქციები შემდეგნაირად განიმარტა: ღია კონკურსით გამოვლენილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებების, კოალიციების აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა; სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის სტანდარტების განვითარება.

(გაგრძელება მე-7 გვ.)

მიმდინარეობს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა. თუ თქვენი ორგანიზაცია ამ სფეროში მუშაობს, ან იცით ასეთი ორგანიზაციის შესახებ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია.

თბილისი 0171,
26 მაისის მოედანი №2, სართული V.
ტელ: (995 32) 94 16 05
ელ-ფოსტა welfare@civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

საქართველოში პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტები და განმარტებითი ბარათები იხილეთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.civilin.org.ge

ბიულეტენი თვეში ერთხელ გამოიცემა, მოგვაწოდეთ წინადადებები, ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე, ღონისძიებებზე, პუბლიკაციებზე, გამოცემებზე, რომლებიც ბიულეტენში გაშუქდება.

თბილისი 0171
26 მაისის მოედანი 2,
V სართული
ტელ: (995 32) 94 16 05
ფაქსი: (995 32) 33 04 17
ელ-ფოსტა welfare@civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

პოლონეთის გამოცდილება

(გაგრძელება)

სამოქალაქო ინიციატივის ფონდის ფინანსური რესურსის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, ამდენად, მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სფეროში. ფონდის ფინანსური რესურსის განკარგვა სოციალური პოლიტიკის მინისტრის კომპეტენციაში შედის. ფინანსური რესურსის დისტრიბუცია არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ღია საგრანტო კონკურსის მეშვეობით ხდება.

ფინანსური უზრუნველყოფა

სოციალური მომსახურების მიწოდების ფუნქციის საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის გადაცემის თანმდევი შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსს ებმის შემდეგი ფინანსური პრივილეგიები:

- საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადის 1%. ეს მექანიზმი უფლებას აძლევს გადასახადის გადამხდელს მიუთითოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც უნდა გადაეცეს ამ მოქალაქის საშემოსავლო გადასახადის 1%;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები გათავისუფლებულნი არიან ქონების გადასახადისგან იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი იყენებენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისთვის; საზოგადოებრივი საქმიანობისთვის მიღებული შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადისგან;
- სამოქალაქო ინიციატივის ფონდიდან ფინანსური რესურსის მიღების უფლება.

საკონკურსო განაცხადი

BP და მისი პარტნიორი ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივის ფარგლებში აცხადებს კონკურსს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ – გაზეთი 24 საათი, 23 აპრილი, 2007

რას წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია

ზოგადად, საქველმოქმედო ორგანიზაციად შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის სფეროც ქველმოქმედებაა. მაგრამ საგადასახადო ურთიერთობისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება მხოლოდ ის, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ სხვა მოთხოვნებს (მაგ: არსებითად არ უნდა იყოს გადასული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე).

ორგანიზაციას საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსს ანიჭებს საგადასახადო ინსპექცია ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისი მონაცემების შემცველი განცხადებისა და აუცილებელი დოკუმენტების წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღებისთვის ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს წინასწარ დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადება და შემდეგი დოკუმენტები:

- ორგანიზაციის წესდების ასლი;
- რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- უკანასკნელი წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (პროექტების, მომსახურების) აღწერას;
- დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული უკანასკნელი წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში). საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღებასთან ერთად, ორგანიზაციას ეკისრება მთელი რიგი დამატებითი ვალდებულებები. კერძოდ, საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინოს:
 - ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (მათ შორის, ეკონომიკურის) აღწერას;
 - ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით;

- დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები.

რა ჩაითვლება საქველმოქმედო საქმიანობად

საქართველოს საგადასახადო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს საქველმოქმედო საქმიანობების ჩამონათვალს. კერძოდ, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება:

1. დახმარების უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის:
 - იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისთვის, მოხუცებულებისთვის, ობოლი ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის - დევნილებისთვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის;
 - ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, მოხუცებულთა სახლებისათვის, უფასო სასადილოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის;
 - საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის;
 - რელიგიური ორგანიზაციებისათვის;
 - განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის - მათი ტალანტის განვითარების მიზნით;
 - სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის - მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით;
 - იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება.
2. ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება ისეთ სფეროებში, როგორცაა:

(გაგრძელება მე-9 გვ.)

რას წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია

(გაგრძელება)


ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა.

ქველმოქმედების განვითარების სტიმულირების მექანიზმები

საგადასახადო კოდექსში ჩადებულია ქველმოქმედების განვითარების სტიმულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი საწარმო, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გასცემს შემოწირულობას, ერთობლივი შემოსავლიდან გამოეცვითება გაცემული შემოწირულობის თანხა, მაგრამ გამოსაქვითი თანხა არ უნდა აღემატებოდეს დასაბეგრი მოგების 8 პროცენტს. სხვანაირად, რომ ვთქვათ, საწარმოების მიმართ ზემოაღნიშნული მექანიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ ისინი შემოწირულობის თანხას გადასცემენ საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციებს.

საქველმოქმედო ორგანიზაციების სტატისტიკა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2007 წლის მარტის თვის მდგომარეობით, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მინიჭებული აქვს 39 ორგანიზაციას.



- ქ. თბილისი – 31 ორგანიზაცია
- აჭარის ა/რ – 2 ორგანიზაცია
- იმერეთი – 3 ორგანიზაცია
- სამცხე-ჯავახეთი – 1 ორგანიზაცია
- ქვემო ქართლი – 1 ორგანიზაცია
- კახეთი – 1 ორგანიზაცია

შენიშვნა: საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის ძირითადი საკითხები განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14, 30-ე და 32-ე მუხლებით.